03/11/2019

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქადაგება (03.11.2019)

ჩვენთან არს ღმერთი!

მე დღეს ქადაგება არ მექნება, შეგონება მექნება. მწუხარებამ გაგვაერთიანა ერთმანეთთან და ღმერთთან. გაუფრთხილდით სამშობლოს და ეკლესიას. ამაშია ძალა ქართველი ერისა.

გეძლევათ ლოცვა-კურთხევა, რომ დღეს სახარებიდან წაიკითხოთ ერთი თავი მთელ საქართველოში. ეს მოგცემთ თქვენ მადლსა და წყალობას. დალოცვილი იყავით.

მადლობელი ვარ თანადგომისათვის. თანადგომა გამოიჩინეს სხვა რელიგიების წარმომადგენლებმაც, მუსულმანებმა და სხვებმა.

გაიხარეთ, ჩვენთან არს ღმერთი!

დღეს ილოცებიან შემდეგი გვარები: ხარაბაძეები, ყაველაშვილები, ტეფნაძეები და ხვიჩავები.

ღმერთმა დაგლოცოთ გაგახაროთ, გაგამრავლოთ, გაგაძლიეროთ, დალოცვილი იყავით. ღმერთმა სიხარული მოგცეთ. ღმერთმა დალოცოს თქვენი ოჯახები და შვილები.

— patriarchate.ge